პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 25 (7586)

4 თებერვალი,
შაბათი.
1984 წ.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

● **სასიხარულო ცნობა მინსკიდან**
(1-ლი გვ.)

● **ქალზე მთამბეჭდავი ფაქტი...**
(ნარკვევი ქეთევან ლოსაბერიძეზე მე-2 გვ.)

● **ტრიბუნებზე რომ არ იხეტიალონ...**
(მე-2 გვ.)

● **რატომ გახადეს უდავო სადავოდ?**
(მე-3 გვ.)

● **ღირსეულად დავიცავთ საბჭოთა სპორტის სახელს**
(ინტერვიუ საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელთან ნიკოლოზ ანიკინთან 1-ლი და მე-4 გვ.).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

ლოგიკურიც, ლოგიკის საწინააღმდეგოც

კლასიკური ჭიდაობის გულშემატკივართა ყურადღება ახლა მინსკის სპორტის სასახლისკენაა მიპყრობილი. აქ დაიწყო საბჭოთა კავშირის 53-ე ჩემპიონატი, რომელშიც ქვეყნის 183 უძლიერესი ფალავანი მონაწილეობს. ამ რეპორტაჟში პირველი ორი დღის შეხვედრებზე გვექნება საუბარი.

უმძიმესი წონის მოჭიდავეები უკვე ამთავრებენ წინასწარ ორთაბრძოლებს. სადაცაა დაიწყება მეხუთე წრე, სარბიელს კი მხოლოდ 4 სპორტსმენი შემორჩა— რუსთაველი თემო ყაზარაშვილი, მოსკოველი ვიქტორ სავჩუკი, ბაქოელი მაგიატდინ ალახვერდიევი და ტიუმენელი ნიკოლაი პარფიონოვი. ყაზარაშვილი დაუმარცხებლად მოვიდა მეხუთე წრემდე, დანარჩენებმა კი თითო შეხვედრა წააგეს. და აი, მთავარი კონკურენტებიც დაწყვილდნენ — ყაზარაშვილი — სავჩუკი. ამ ფალავნებს კარგად იცნობენ ჭიდაობის მოყვარულები — ყაზარაშვილი მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონია, სავჩუკი — საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისა. სხვათა შორის, სპარტაკიადის ფინალში სწორედ ეს მოჭიდავეები შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ჩვენი ფალავანი ქულებით დამარცხდა და, საერთოდ, სავჩუკთან უარყოფითი ბალანსი აქვს — ძალზე უხერხული მეტოქეა. ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. პირველ პერიოდში მეტოქეებმა თითო ქულის აღება მოახერხეს, მაგრამ სავჩუკს უკვე ორი გაფრთხილება ჰქონდა, შესვენების შემდეგაც პასიურობდა და მსაჯებმა მოხსნეს შეხვედრიდან. როგორც ზემოთ ითქვა, ეს მეხუთე წრეში მოხდა, მანამდე კი ყაზარაშვილმა წმინდად დაამარცხა ჩიტელი იური მამიშევი და ვოლგოგრადელი მიხეილ გორბუნოვი, ქულებით — კუიბიშეველი ალექსანდრე გურიანოვი.

შეჯიბრების პირველ დღეს უმძიმესი წონის მოჭიდავეებთან ერთად 62 და 90 კგ წონითი კატეგორიის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ. მახარაძელმა გურამ მაჭარაშვილმა (62) ჩინებულად აიღო სტარტი, ხუთ წუთში წმინდად დაამარცხა მინსკელი რაზმიკ მინასიანი, შემდეგ აშკარა უპირატესობით მოუგო კიროველ ალექსანდრე ლიტვინოვს, ქულებით — მოსკოველ ნურლიმუხ ხაირზამანოვს. ბუნებრივია, ამ გამარჯვებათა შემდეგ ქართველი ფალავანი ყურადღების ცენტრში მოექცა. ყველანი ინტერესით მოველოდით მის შეხვედრას მთავარ ფავორიტთან — ხაბაროვსკელ სერგეი ავდეევთან (ამ ახალგაზრდა სპორტსმენმა შარშანდელ სპორტულ სეზონში რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში). მაჭარაშვილი ამჯერადაც შეუდარებელი იყო, წუთსა და 22 წამში 12 ქულა მოაგროვა, მეტოქისთვის კი არც ერთი არ დაუთმია. წმინდა გამარჯვება! ამის შემდეგ მოვლენები ალოგიკურად წარიმართა, როცა ძირითადი კონკურენტები უკვე ჩამოცილებული ჰყავდა და ფინალამდეც აღარაფერი რჩებოდა, ყველასათვის მოულოდნელად მაჭარაშვილმა ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო და საბოლოოდ მეოთხე ადგილი დაიკავა.

ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი 90 კგ წონით კატეგორიაში, თუმცა, ცხადია, ფავორიტად მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ვიტებსკელი იგორ კანიგინი ითვლება. მართალია, კანიგინს გაუჭირდა, მაგრამ 4 წრე უდანაკარგოდ განვლო. სამწუხაროდ, ხელი მოეცარა მარტყოფელ ზაურ ივანაშვილს. სტარტზე მსოფლიო თასის მფლობელ, კუიბიშეველ ვალენტინ ჩერბუკოვთან დამარცხდა, შემდეგ— გროზნოელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ხავაშ მულაევთან დ შეჯიბრებას გამოეთიშა. ამ ბოლო შეხვედრას ყურადღებით ადევნებდა თვალს საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი გენადი საპუნოვი: „ეტყობა, ივანაშვილი კარგად ვერ მოემზადა ამ ჩემპიონატისთვის. არც გასაკვირია. დროის მცირე მონაკვეთში რამდენიმე შეჯიბრებაში მოუწია გამოსვლა, 19 წლის სპორტსმენისთვის კი ეს იოლი არ არის. ამიტომ აქ ივანაშვილისგან განსაკუთრებულს არაფერს ველოდით. აქამდე უკვე არაერთხელ დაამტკიცა, რომ ნამდვილი ტალანტია და მისი დიდი იმედიც გვაქვს".

ჩემპიონატის მეორე დღეს 3-3 შეხვედრა გამართეს 52, 74 და მძიმე წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა. პირველ ორ წონაში ჩვენს რესპუბლიკას წარმომადგენელი არა ჰყავს, მძიმეწონოსანთა შორის კი ბრძოლაში ორი ქართველი ფალავანი ჩაება — ავთანდილ მაისურაძე და რამაზ კანთელაძე. მოხდა ისე, რომ ისინი პირველსავე წრეში დაწყვილდნენ. ეს შეხვედრა მაისურაძემ მოიგო, შემდეგ ვადაზე ადრე დაამარცხა ნოვოჩერკასკელი ნიკოლაი კუზნეცოვი. მესამე წრეში მაისურაძე ჩელიაბინსკელ ვლადიმერ გრიგორევს შეხვდა. საფინალო სასტვენამდე სულ ცოტა დრო რჩებოდა, როცა ჩვენი ფალავანი იგებდა შეხვედრას — 3:0, მაგრამ აქ მსაჯებმა ზედიზედ 3 გაფრთხილება მისცეს და წაგება ჩაუთვალეს.

გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ დანარჩენი ოთხი წონითი კატეგორიის ათლეტები. გუშინვე გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები 48, 62 და 90 კგ წონებში.

ელგუჯა ბერიშვილი,
(ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.).
მინსკი.

გუშინ...

მინსკში კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატში რუსთაველმა ფალავანმა თემო ყაზარაშვილმა ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. მან ფინალში ანგარიშით 5:2 დაამარცხა ბაქოელი მაგიატდინ ალახვერდიევი. გულშემატკივართა სახელით ვულოცავთ ქართველ სპორტსმენს ამ დიდ წარმატებას, ხოლო მასალას თემო ყაზარაშვილზე ჩვენი მკითხველი გაეცნობა „ლელოს" ხვალინდელ ნომერში.

სურათზე: თემო ყაზარაშვილი.

●

ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე კიეველმა ანატოლი ტაინკინმა (62 კგ) და ვიტებსკელმა იგორ კანიგინმა (90 კგ).



ზურაბ ტატუაშვილის ელვისებური მოგვერდი. წამიც და გერმანელი მაიკ იესე ბეჭებით გაეკვრება ხალიჩას.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

XXIII ტრადიციული...

წინასწარი შეხვედრების ვნებათაღელვა

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მორიგი, XXIII საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც მსოფლიოს მრავალ გამოჩენილ ფალავანს მოუყარა თავი. თბილისში ჩამოვიდნენ პოლონელი, რუმინელი, უნგრელი, ბულგარელი, ჩეხოსლოვაკიელი, ფინელი, კანადელი, გერმანელი, მონგოლი მოჭიდავეები. შეჯიბრებაში მონაწილეობს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდიც, რომელმაც ამას წინათ ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებთან. მკითხველმა უკვე იცის, რომ შეხვედრები ორჯონიკიძეში ფრედ 5:5, ხოლო გროზნოში 8:2 დამთავრდა საბჭოთა ფალავნების სასარგებლოდ. ტრადიციულ ტურნირში, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს გუნდებიც გამოდიან. მაყურებელმა კვლავ იხილა ხალიჩის აღიარებული ოსტატები: სერგეი ბელოგლაზოვი, დავით გიგაური, მიხეილ ხარაჩურა, გივი ქენქაძე, საიდულა აფსაიდოვი, გიორგი მაკასარაშვილი, ილია მატე, მაგომედ მაგომედოვი და სხვები.

გაიმართა წინასწარი შეხვედრები. 48 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს გუნდიდან ასპარეზობდა ზურაბ წოწორია, მსუბუქი წონის მოჭიდავეთა შორის კი — გივი აზმაიფარაშვილი და ვალერი დარჩიაშვილი. მართალია, ეს ახალგაზრდა მოჭიდავეები პირველივე შეხვედრებში დამარცხდნენ, მაგრამ საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის ვლადიმერ მესტვირიშვილის აზრით ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მათთვის კარგი სკოლა იქნება.

ჩინებულად იჭიდავა ზურაბ ტატუაშვილმა. მან ბრწყინვალე მოგვერდით წააქცია მაიკ იესე (გდრ) და აქტივში პირველი წმინდა გამარჯვება ჩაიწერა. უნდა აღინიშნოს, რომ მისი მეტოქე ტექნიკური, ფიზიკურად კარგად მომზადებული სპორტსმენია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავს...

პირველ ქვესაშუალო წონაში (68 კგ) საკმაოდ ძლიერმა ფალავნებმა მოიყარეს თავი. აქ ტურნირის ფავორიტები არიან მიხეილ ხარაჩურა, არსენ ფაძაევი, საიდულა აფსაიდოვი, გივი ქენქაძე, დავით გიგაური... გუშინ ამ სპორტსმენებ-

(დასასრული მე-2 გვ.)

ზამთრის მეთოთხმეტე ოლიმპიური თამაშების გახსნამდე დარჩა 4 დღე

SARAJEVO 84

გზა დაგვილოცოთ, ოლიმპიელებო!

იანვრის ბოლოს ბაკურიანიდან გაემგზავრა ოლიმპიელთა პირველი ჯგუფი — სათხილამურო რბოლის ოსტატ ქალთა და ვაჟთა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სარაევოს ზამთრის XIV ოლიმპიურ თამაშებში. საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი სტარტის შემდეგ, სწორედ გამგზავრების წინ, „ლელოს" კორესპონდენტი შეხვდა ოლიმპიური გუნდის მთავარ მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, 1956 წლის თეთრი ოლიმპიადის ჩემპიონს ნიკოლოზ ანიკინს.

● თქვენთან შეხვედრას არ ვჩქარობდით, რადგან ვფიქრობთ, ახლა, როდესაც ყველაფერი ნათელია და სარაევოს ასპარეზობისთვის საბოლოოდ დადგინდა „შესანიშნავი შვიდეულები", ამ ინტერვიუს მეტი აზრი ექნება. ორ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც აქტიურ სპორტს გამოეთხოვეთ, მწვრთნელად დაიწყეთ მუშაობა, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კი ქვეყნის მთავარ გუნდს უდგახართ სათავეში. თქვენზე კომპეტენტური პიროვნება ამ საქმეში საბჭოთა სპეციალისტთა შორის არც გვეგულება. მაშ ასე, კმაყოფილი ხართ თუ არა გადამწყვეტი შეკრებით?

— ბაკურიანში 7 იანვარს ჩამოვედით, ოცი დღით. უნდა ითქვას, რომ შეკრების ადგილად ეს „თეთრი მარგალიტი" ერთსულოვნად აირჩიეს ჩვენმა გუნდებმა, პირველ ყოვლისა კი ვეტერანებმა, რომლებიც აქ სხვა დროსაც ყოფილან. დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით საათ-ნახევარი, ორი საათი, მეტწილად დიდველის მიდამოებში, სადაც ჩემპიონატის სტარტები მოეწყო. შეკრებით ყველა კმაყოფილი ვართ. ტრასებიც საუკეთესო გვქონდა (სარაევოს ტრასების პროფილის მსგავსი) და შეუფერხებლად და ეფექტურად მიმდინარეობდა აღდგენითი ღონისძიებანი, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ ოლიმპიური სასწავლო-სავარჯიშო ცენტრის (დირექტორი — სპორტის ოსტატი იური ოგანეზოვი) მთელ კოლექტივს. რაც შეეხება ოლიმპიელთა დასვენების

(დასასრული მე-4 გვ.)

რაც ჩვენს სტადიონს არ ეკადრება

რეპლიკა

- ● ჟურნალისტთა გასაჭირი
- ● რას ფიქრობს სტადიონის ადმინისტრაცია?
- ● ყველა მოყვრულად როდი გვიყურებს...
- ● ხინჯი დროულად უნდა მოვიშოროთ

ყველა დიდ ქალაქს თავისი სავიზიტო ბარათები აქვს. შინაური იქნება თუ სტუმარი, სწორედ ამ სავიზიტო ბარათის მიხედვით მსჯელობს ქალაქის ცხოვრების რიტმზე, მაჯისცემაზე. ერთ-ერთი ასეთი სავიზიტო ბარათი თბილისისა უდავოდ „დინამოს" სტადიონია. ახლა მის ქებას რომ მოვყვეთ, არ იქნება მართებული. ვინ არ შეაქო, ვინ არ მოგვიწონა იგი. სულ უკანასკნელად ფიფა-ს პრეზიდენტმაც ნახა ეს ნაგებობა და საკმაოდ მაღალი შეფასებაც მისცა.

მართლაც და, სტადიონს რა უჭირს, ერთი დიდი უხერხულობა რომ არა. წლების მანძილზე ერთი და იგივე პრეტენზია გამოითქმება სტადიონის მესვეურთა მისამართით, მაგრამ საქმე იოტისოდენადაც არ წაწეულა წინ. თუ „დინამოზე" მოსული მაყურებელი მოხერხებულად არის მოკალათებული ტრიბუნაზე და მატჩის ცქერისას არაფერი უშლის ხელს, სამაგიეროდ, სტადიონზე სამუშაოდ მოსულ ჟურნალისტებს ადგათ შავი დღე. ჯერ ერთი, მათთვის გამოყოფილი პრეს-ლოჟა ისეთ მოუხერხებელ ადგილზეა, რომ უბრალოდ, ჭირს მატჩის ყურება, მით უმეტეს, წმინდა საფეხბურთო ნიუანსების დაჭერა. ეს ერთი. ახლა ისიც ვთქვათ, რომ ამ ლოჟაში სპორტული ჟურნალისტებისათვის გამოყოფილი ორმოცდაორი ადგილიდან ყველა მათ არ ეკუთვნით. დიახ, უნდა ეკუთვნოდეთ, მაგრამ არ ეკუთვნით. ეს კი არადა, ამ ლოჟაში ჟურნალისტებთან ერთად რომელი პროფესიის კაცს არ ნახავთ. ღმერთმა უწყის, რა გზით, რა მანქანებით ისაკუთრებენ ისინი სამუშაოდ მოსული ჟურნალისტების ადგილებს. არადა ჩხუბს ხომ არ დაუწყებენ დაუპატიჟებელ სტუმრებს, ჰოდა ჩვენი ამქრის წარმომადგენლები დაუსრულებლად დაეხეტებიან ტრიბუნიდან ტრიბუნაზე.

ამას კიდევ მოითმენდა კაცი, მაგრამ შინაურ სტუმრებს არც ისე იშვიათად ემატებიან საბჭოეთის სხვადასხვა კუთხიდან და უცხოეთიდანაც ამა თუ იმ სპორტული ღონისძიების გასაშუქებლად ჩამოსული ჩვენი კოლეგები. ასეთ გაცხოველებულ კონტაქტებს და გახშირებულ მისვლა-მოსვლას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ. მაგრამ გაუგებარი მიზეზის გამო სტადიონზე სტუმრებისათვის სპეციალური კუთხე გამოყოფილი არ არის და იძულებული ვართ ისევ ჩვენთვის განკუთვნილი ლოჟის ადგილები დავუთმოთ მათ.

ესეც არაფერი. ასე გრძელდება წლობით და უკვე შევეჩვიეთ, თუკი შეიძლება უწესრიგობას შეეჩვიოს ვინმე. ყველაფერ ამას კიდევ ერთი გასაჭირი ემატება. მოგეხსენებათ, სპორტული ჟურნალისტისთვის სამუშაო მატჩის შემდეგაც გრძელდება: მან უნდა ნახოს მწვრთნელები, მსაჯები, ფეხბურთელები. მაგრამ სტადიონის პრესცენტრში (სიტყვამ მოიტანა და საკმაოდ მოუწყობელში) შეღწევა ჟურნალისტისათვის ერთობ ძნელია. სცილასა და ქარიბდას უფრო იოლად დაუსხლტებოდა იგი, ვიდრე ამ პრესცენტრის კარიბჭესთან შექმნილ დაბრკოლებებს. აქ უფრო ის ხალხი ტრიალებს, ვისაც მატჩის მსვლელობაში ჟურნალისტების კუთვნილი ადგილები ეჭირა.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ეს რეპლიკა ეგრეთ წოდებული „ჟურნალისტური მუნდირის" დაცვის სურვილმა დაგვაწერინა. საქმე ეხება გაცილებით მნიშვნელოვან რამეს, კერძოდ ჩვენს კულტურას, ჩვენს ქცევას, ჩვენს დამოკიდებულებას შინაური თუ უცხო ჟურნალისტებისადმი. ისმის კითხვა: სანამ უნდა ვაყურებინოთ სტადიონის პრესლოჟაში შექმნილი საცოდაობა და სავალალო სურათი ჟურნალისტებს, მათ შორის, საზღვარგარეთიდან ჩამოსულთ, რომელთაგან ყველას სამოყვროდ როდი უძგერს გული. წავა ეს ხალხი და ისეთ სურათს დაუხატავენ მკითხველს, მტკვარიც ველარ გაგვრეცხავს.

ჟოაო აველანჟმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თბილისის ცენტრალური სტადიონი თავისი ღირსებებით იმსახურებს იყოს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი სავარაუდო მასპინძელთაგანი. ასეა ეს თუ არა? რა თქმა უნდა, ასეა. და სწორედ ამიტომაც შესანიშნავ სტადიონს უნდა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოვაშოროთ სრულიად შეუფერებელი და თვალში საცემი ხინჯი.

ვფიქრობთ, ახალი სეზონის დაწყებამდე ამის გაკეთება არ უნდა იყოს ძნელი.

წინასწარი შეხვედრების ვნებათაღელვა

დასასრული

მა უკვე მოიგეს პირველი შეხვედრები. დავით გიგაურმა სძლია მონგოლ ბოლს, ხოლო გივი ქენქაძემ — მახაჩკალელ აბდულა მაგომედოვს. გაიმარჯვეს გიორგი მაკასარაშვილმა, მამუკა ხურციძემ და ლერი ხაბელოვმაც, რომლებიც შესაბამისად 82, 90 და 100 კგ წონით კატეგორიებში ასპარეზობენ.

პირველ საშუალო წონაში თენგიზ მაისურაძისა და კრის რინკეს ორთაბრძოლა ფრედ 2:2 დამთავრდა, მაგრამ რაკი კანადელმა სპორტსმენმა მომგებიანი ქულა ბოლოს მოიპოვა, გამარჯვებაც მას მიაკუთვნეს.

მაყურებელი მოუთმენლად ელოდა ილია მატესა და მაგომედ მაგომედოვის შეხვედრას, მაგრამ თურმე სულ ტყუილად... ოლიმპიური ჩემპიონი ილია მატე მთელი შეხვედრის მანძილზე გაურბოდა მეტოქეს და დამსახურებული სასჯელიც მიიღო — პასიური ჭიდაობისთვის მსაჯებმა მას 3 გაფრთხილება მისცეს, რაც წმინდა წაგების ტოლფასია. ასეთივე სასჯელი დაიმსახურა მძიმეწონოსანმა ჯემალ ტარიელაძემ, მას მალხაზ მერმანიშვილთან შეხვედრაში პასიურობისათვის დამარცხება ჩაეთვალა. ამ წონაში პირველი შეხვედრა მოიგო დავით გობეჯიშვილმა.

წინასწარი შეხვედრები გრძელდება, ვნახოთ, რას მოგვიტანს დღევანდელი ორთაბრძოლები.

ნუგზარ ვახტანგაძე.

დებიუტანტი

მერმან რეხვიაშვილი

კლასიკური ჭიდაობა

დაიბადა 1968 წლის 28 ოქტომბერს თბილისში. სწავლობს თბილისის 107-ე საშუალო სკოლის VIII კლასში. წონა 45 კგ. სიმაღლე 160 სმ. არის სპორტსაზოგადოება „განთიადის" წევრი, პირველთანრიგოსანი, მწვრთნელი გურამ გულადიშვილი. შარშან გაიმარჯვა თანატოლთა რესპუბლიკურ პირველობაში, წლეულს III ადგილი დაიკავა საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე, მოგებული აქვს 1 საკავშირო ტურნირი. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ემზადება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის.

აწმყო, შობილი წარსულისაგან...

ქეთევან ლოსაბერიძე

თუ ოდესმე საქართველოს ყველა დროის რჩეულ ქალთა სიას შეადგენენ, ქეთევან ლოსაბერიძის სახელსაც უცილოდ მოიხსენიებენ.

მშვენიერი ნათქვამია: „სახელი ჰქვიან ქალს ჰგავს: ძვირად მოვა, მაგრამ თუ მოვიდა, აღარასოდეს მიგატოვებს".

სახელი და აღიარება იოლად არც ქეთევანთან მოსულა. ხშირად უთქვამს: სულ პატარა წარმატებისთვისაც კი დიდი შრომა და ჯაფა მჭირდებაო. ნიჭი და ალღო სანატრელი რომ არა აქვს, ეს მისმა გულშემატკივრებმაც კარგად იციან, ჯაფა კი სხვაზე მეტი იმიტომ დაადგა, რომ უვალი გზით ირჩია სიარული.

...ერთი ციდა იყო, რვა და-ძმასთან ერთად უდედოდ რომ დარჩა. ათიოდე წლით უფროსი დის მზრუნველობით იზრდებოდა. მამამ ქუთაისის მერვე საშუალო სკოლაში შეიყვანა. უყვარდა მათემატიკა, მხატვრული ლიტერატურა. მერე საიდანღაც ექიმობის სურვილი გაჩნდა. თუმცა, საიდანღაც კი არა, ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა — პატარას ყველაზე საყვარელი ახლობელი ადამიანი მოუკვდა და ბავშვის ნათელმა გონებამ გადაწყვიტა: ექიმი უნდა გავხდე, რომ არც ერთი ბავშვი აღარ დაობლდესო. მათემატიკის სიყვარულმა მაინც ყველაფერს სძლია და სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ქეთევანი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

სპორტი? ცოდვა გამხელილი ჯობს — ამაზე არასოდეს უფიქრია. არა, სპორტსა და სპორტსმენებს ალმაცერად არასოდეს უყურებდა, მაგრამ თავის თავში ვერ ხედავდა იმ პოტენციას, რასაც დიდი სპორტისკენ მიჰყავს ადამიანი.

იმხანად მშვილდოსნობა საქართველოში კი არა, საბჭოთა კავშირშიც „ახალი ხილი" იყო. 1957 წელს მოსკოვის ახალგაზრდულ თამაშებზე მაყურებელმა პირველად ნახა უცხოელ მშვილდოსანთა საჩვენებელი გამოსვლა. ერთი წლის შემდეგ კიევსა და ლვოვში გაიხსნა სექციები. საქართველოს პირველი ჩემპიონატი კი 1966 წელს ჩატარდა.

„პირველ კურსზე ვიყავი. ფიზკულტურის დარბაზში მეცადინეობაზე ინსტიტუტის მშვილდოსნობის სექციის ხელმძღვანელი შალვა ჯაშიაშვილი შემოვიდა, მშვილდი შემოიტანა და ყველას სათითაოდ მოგვაზიდვინა. მერე თორმეტი გოგონა შეგვარჩია და სექციაში მეცადინეობის დღეები დაგვინიშნა. იმავე წელს საქართველოს ჩემპიონი გავხდი".

ახლა ჩვენს მშვილდოსნებს უცხოური წარმოების იარაღით ამარაგებენ. თხუთმეტი წლის წინათ კი, როცა ქეთევანმა ვარჯიში დაიწყო, ხის პრიმიტიულ ისრებს ისროდნენ, ბოლოში ინდაურის ფრთებს ამაგრებდნენ. ფრთებს ქუთაისის ბაზარში გასაყიდად გამოყვანილ ინდაურებს აგლეჯდნენ.

„კარგად მახსოვს: შალვა და მისი გოგოები მოდიანო, იტყოდნენ ხოლმე ქალები და ინდაურებს დახლის ქვეშ მალავდნენ. ფრთებდაგლეჯილი ინდაური პატარა ჩანდა და ძვირად აღარ იყიდებოდა".

ვარჯიშის დაწყებიდან ოთხი წელი გავიდა. 1971 წლის გაზაფხულზე ლენინაკანში საბჭოთა კავშირის პირველობა ტარდებოდა. ქეთევანმა იცოდა, მწვრთნელი მის წაყვანას რომ აპირებდა, თვითონ კი სიცილად არ ჰყოფნიდა თავისი „სპორტსმენობა".

„გვიანი საღამო იყო. იმით დაიმედებულმა, რომ ბატონი შალვა გადაიფიქრებდა ჩემს წაყვანას, მშვიდად დავიძინე. უცებ გავიგონე, რომ ვიღაც აკაკუნებდა. კართან შალვა ჯაშიაშვილი იდგა. ნამძინარევი რომ დამინახა, აბუზღუნდა: მე ბილეთები ავიღე, შეჯიბრებაზე მიმყავს, ამას კი არხეინად სძინავსო. როგორღაც მოვუყარე თავი ტანისამოსს, ფორმას, იარაღს და მწვრთნელს უკან გავყევი. მივდიოდი და ფეხი უკან მრჩებოდა. რაიმე შედეგზე და, მით უმეტეს, გამარჯვებაზე ფიქრი უაზრობა იყო. თავს იმითღა ვინუგეშებდი, ნონა კოზინას და ემა გაპჩენკოს სროლას მაინც ვნახავ-მეთქი".

იმ შეჯიბრებაზე ქეთევანმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც შეიყვანეს.

ახლა კი უნდა ერწმუნა თავისი ძალა. ირწმუნა კიდეც: ექვსჯერ საქართველოს ჩემპიონი გახდა, ერთხელ — საბჭოთა კავშირისა, ორჯერ მოიგო ქვეყნის თასი, ორჯერ ავიდა ევროპის ჩემპიონის კვარცხლბეკზე, გუნდურ ჩათვლაში ორჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი, სამჯერ გახდა სპარტაკიადის პრიზიორი, დაამყარა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო რეკორდები. მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე ხომ ქვეყანა აალაპარაკა — 14 ქულით გაუსწრო თავის მთავარ მეტოქეს ნატალია ბუტუზოვას, რომელსაც ყველა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ იმას, რისი მოწმენიც შარშანდელ სპარტაკიადაზე გავხდით, მხოლოდ ერისშვილობა შეიძლება უწოდო კაცმა.

ოლიმპიადის შემდეგ ორი წელი არ უვარჯიშია, გადაწყვეტილი ჰქონდა დიდი სპორტიდან წასულიყო.

სპარტაკიადამდე რამდენიმე თვით ადრე ქეთევანი დედა გახდა. არ ეგებოდა არც ერის და არც ათი წლის ნანატრი თინიკოს ღალატი. ადგა და ჩვილბავშვიანი ეტლით გაემგზავრა მოსკოვს. ის საპატიო მეოთხე ადგილიც რომ არ ყოფილიყო, თავად ფაქტი იყო ძალზე შთამბეჭდავი...

გულდასაწყვეტიც ცოტა როდი ჰქონია ოლიმპიურ ჩემპიონს.

„ექვსი წლის წინათ თბილისში ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის ისრები". როგორც წესი, მოგვცეს ეგრეთ წოდებული „მისასროლი" ისრები, რომელთა მიზანში სროლა ქულას არ იძლევა, აუცილებელი კი არის. ყველა „მისასროლი" „ცხრიანში" და „ათიანში" მოვარტყი. ძირითადი ისრები კი სხვისი სამიზნისთვის მისვრია და, ბუნებრივია, პირველი ადგილი დავკარგე. თავი იმითღა ვინუგეშე, მასპინძლის მოვალეობა მოვიხადე-მეთქი".

იგივე შემთხვა ლუქსემბურგში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზეც. საბედნიეროდ, იქ ყველაფერი კარგად დასრულდა. მეოთხე ბოლიკზე იდგა და ცხადია, მეოთხე სამიზნეზე უნდა ესროლა. ისროლა სამი „მისასროლი" და დურბინდი მოიმარჯვა: ხედავს, ყველა ისარი ყვითელ ფონზეა ჩაჭედებული, მაგრამ... მესამე სამიზნეზე. ეტყობა, ამან გამოაფხიზლა და ჩასათვლელი ისრები სულ „ცხრიანებსა" და „ათიანებში" გაგზავნა, იმ დისტანციაზე საბჭოთა კავშირისა და ევროპის რეკორდები დაამყარა და ორი დღის შეჯიბრების ჯამში ევროპის ჩემპიონი გახდა.

დღესაც ბევრ რამეზე ეთანადრება გული სახელოვან მშვილდოსანს:

„ახლა ყველა სპორტული ბაზების ნაკლებობას ჩივის. მართალია, გვაკლია დარბაზები, მოედნები, აუზები, კორტები, მაგრამ აუცილებელი მინიმუმი მაინც გვაქვს. მშვილდოსნებს კი საერთოდ არ გაგვაჩნია სასროლეთი. ცამეტი წლის წინათ ვაკის პარკსა და „ლოკომოტივის" სტადიონს შორის გამოინახა ადგილი, მაგრამ ეს ხელისგულისოდენა ტერიტორია ერთი რომელიმე სექციის სავარჯიშოდ თუ გამოდგება. რა თქმა უნდა, ადვილი არ არის ქალაქის ცენტრში სასროლეთის მოწყობა, ამასთან, უნდა დაიცვა გარკვეული პირობებიც, მაგრამ გადაუდებელი აუცილებლობის წინაშე რომ ვდგავართ, დღესავით ნათელია. ბაზების არარსებობას ემატება მწვრთნელთა და სპორტსმენთა ნაკლები მონდომება და ინტერესი, ენთუზიაზმი საერთოდ ჩახშულია და საკადრისსაც ვიმკით — მშვილდოსნობაში სატრაბახო აღარაფერი გვაქვს. თუმცა, მარტო ბაზების არქონას ვერ დავაბრალებ ჩვენს საერთო წარუმატებლობას. რაც გვაქვს, იმ ბაზებზეც შეიძლება ერთი-ორი კარგი სპორტსმენის გაზრდა. თავის დროზე შალვა ჯაშიაშვილმა არაფრისაგან შექმნა გუნდი და მისმა ენთუზიაზმმა ამდენი გამარჯვება მომაპოვებინა, რისთვისაც მუდამ მადლიერი ვიქნები ჩემი მწვრთნელისა. ამიტომ მჯერა, რომ მთავარი მაინც საქმის სიყვარული და თავდადებაა. დანარჩენი თავისით მოვა".

P.S. ჩვენი რუბრიკით „აწმყო, შობილი წარსულისაგან" იბეჭდება წერილები და ნარკვევები იმ სპორტსმენებზე, რომლებიც უკვე ჩამოშორდნენ დიდ სპორტს. ახლა რომ ქეთევან ლოსაბერიძეს ჰკითხოთ, კიდევ გამოხვალთ თუ არა შეჯიბრებაშიო, გაიღიმებს და გიპასუხებთ: რა ხანია აღარ მივარჯიშია, ალბათ აღარ გამოვალ. მაგრამ თუ ერისა და ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, ხომ იცის მისმა გულშემატკივარმა, როგორ მოიქცევა სწორუპოვარი მშვილდოსანი. და თუ ლოს-ანჯელესში ან სხვა რომელიმე დიდ შეჯიბრებაზე კვლავ გავიგონებთ ლოსაბერიძის გვარს, მაშინ იმედია ამ მცირე შეცდომასაც დიდსულოვნად გვაპატიებს მკითხველი.

ნანა ჯოხარიძე.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტში

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგიამ განიხილა ფეხბურთის საკავშირო სამმართველოსა და ფედერაციის წინადადებები და დაამტკიცა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდიდან გუნდში გადასვლა არსებული რეგლამენტის შესაბამისად.

მოსკოვის „სპარტაკში“ გადავიდნენ — ა. ბარანოვი („ტავრია“, სიმფეროპოლი), ე. სიდოროვი (ასკ, დონის როსტოვი), ს. შავლო („ისკრა“, სმოლენსკი);

მინსკის „დინამოში“ — ი. [illegible] (ასკ, ოდესა);

მოსკოვის „ტორპედოში“ — [illegible] (ცსკა);

კიევის „დინამოში“ — ა. გიი[illegible] (ასკ-„კარპატი“, ლვოვი), ა. ლე[illegible] („ნივა“, ვინიცა), ვ. სოსილკანი[illegible] („კრივბასი“, კრივოი როგი);

ოდესის „ჩერნომორეცში“ — [illegible] რომანჩუკი (ასკ, დონის როსტოვი), [illegible] ტრეტიაკი და ვ. კოვაჩი (ორივე — ასკ, ოდესა);

დონეცკის „შახტიორში“ — [illegible] კრავჩენკო და ვ. გოშკოდერია (ორივე — ასკ, დონის როსტოვი), ი. [illegible]კაჩენკო და ვ. გავრილოვი (ორივე — „ურალანი“, ელისტა);

ტაშკენტის „ფახთაკორში“ — ე. გესი („სპარტაკი“, მოსკოვი);

ხარკოვის „მეტალისტში“ — ს. ოვჩინიკოვი („შახტიორი“, გორლოვკა), ი. ტალკო („სპარტაკი“, ჟიტომირი), ი. ბონდარენკო („ტავრია“, სიმფეროპოლი);

ცსკა-ში — ა. გუზიენკო („ალგა“, ფრუნზე), ო. ბუროვი („ნეფტიანიკი“, ფერგანა).

ბაქოს „ნეფთჩიში“ — ო. ახანოვი („ტორპედო“, მოსკოვი), რ. ჰასანოვი („ყუბანი“, კრასნოდარი);

ერევნის „არარატში“ — მ. მარქარიანი („ნისტრუ“, კიშინიოვი), რ. ბოსტანჯანი (ასკ, დონის როსტოვი), ვ. ხაჩატრიანი („შირაკი“, ლენინაკანი);

მოსკოვის „დინამოში“ — ე. მილეშკინი („სპარტაკი“, მოსკოვი), ნ. ჩესნოკოვი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), ვ. ფომიჩოვი („ყუბანი“, კრასნოდარი);

თბილისის „დინამოში“ — ე. თევზაძე, გ. კეტაშვილი, ა. ქანთარია (ყველა — „ტორპედო“, ქუთაისი);

ალმა-ათის „ქაირათში“ — ო. კარავაევი („ალგა“, ფრუნზე);

დონის როსტოვის ასკ-ში — ი. სუროვიკინი („როტორი“, ვოლგოგრადი), ს. აგაშკოვი („კოლხოზჩი“, აშხაბადი), ი. კლიუჩკინოვი („სოკოლი“, სარატოვი).

●

ტორპედოელები ემზადებიან

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 3 თებერვალი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ოლიმპია“ (ლიუბლიანა, იუგოსლავია) 0:0.

„ტორპედო“: გაბელია, კოხტავა, კ. კერესელიძე, თავაძე, კურტანიძე, რუ[illegible], კორდალიძე, ჯოხაძე, ა. კერესელიძე (ვასაძე), თვარაძე, კვერნაძე.

„ოლიმპია“: ბელოევიჩი, ვუკმიროვიჩი, რადოვიჩი, პატე (ლალოვიჩი), [illegible]როვნიცა, ტერჩიჩი, ვუინოვიჩი, ამერშეკი (შარანეცი), პეტროვიჩი, კატა[illegible]ცი, [illegible]ოვიჩი.

მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

ქუთაისის ტორპედოელთა კოლექტივი ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობის ცენტრში იმყოფება და მისი საწვრთნელი თამაშის სანახავად საკმარისად მოვიდნენ თბილისელი მაყურებლები, რომლებიც [illegible] ორი მატჩის მიხედვით უკვე კარგად იცნობენ ახლანდელ „ოლიმპიას“.

იუგოსლაველები როგორც წინა შეხვედრებში თბილისის დინამოელებთან ახლაც არ ჩქარობდნენ, კარგა ხანს ყოვნდებოდნენ შუა მინდორზე და უმთავრესად სწრაფი, მოულოდნელი კონტრშეტევების იმედით იყვნენ. საკმარისი იყო ტორპედოელებს მოემატებინათ თამაშის ტემპი, გაეძლიერებინათ შეტევა და [illegible] ტერიტორიული უპირატესობა [illegible] სახიფათო, ეფექტური ხდებოდა, მაგრამ ტორპედოელებმა, [illegible], ტაიმის მეტი წილი მეტოქის ნახევარზე გაატარეს, სახიფათო მომენტები თითქმის ვერ შექმნეს. [illegible] მანძილიდან რამდენიმეჯერ დარტყმული ბურთი საგრძნობლად [illegible] მიზანს.

ქუთაისელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში მოუმატეს თამაშის ტემპს, [illegible] ამისა უფრო აშკარა გახდა მათი საერთო უპირატესობაც, [illegible] ბელოევიჩს კი მძიმე სამუშაო [illegible] არც ამ პერიოდში ჰქონია. „ტორპედოს“ თავდამსხმელთა იერიშებს არც ახლა მოსდევდა სახიფათო მომენტები. მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებზე, როცა ქუთაისელები ხანგრძლივად დასახლდნენ მოპირდაპირე ნახევარზე, რამდენიმე კარგი მომენტი შეექმნათ კვერნაძეს, კ. კერესელიძეს, ვასაძეს, მაგრამ შედეგი არც ამ მომენტებს მოჰყოლია, ბოლო, 90-ე წუთზე კი ტორპედოელთა კარის წინ ძალზე სახიფათო პოზიციაში აღმოჩნდა ვუინოვიჩი, ამ მძიმე მომენტში შესანიშნავად ითამაშა გაბელიამ და მოიგერია უძნელესი ბურთი.

ბიჭიკო ქორიძე.

●

მატჩის შემდეგ

კომენტარი ვთხოვეთ ქუთაისის „ტორპედოს“ უფროს მწვრთნელს გივი ნოდიას:

— წინასასეზონო სამზადისის ამ ეტაპზე, — თქვა მან, — ძნელია გუნდის საბოლოო საბრძოლო შემადგენლობის განსაზღვრა, შარშანდელ ფეხბურთელებთან ერთად ახალწვეულებიც გვყავს, ვეძებთ, ვსინჯავთ და იუგოსლავიის „ოლიმპიასთან“ ამ შეხვედრასაც სწორედ საწვრთნელი სამზადისის თვალით ვუყურებთ. რა თქმა უნდა, სურვილი გვქონდა თბილისელი მაყურებლისთვის კარგი თამაში გვეჩვენებინა, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელი და დასახვეწი გვაქვს, საკავშირო თასისა და პირველობის დაწყებამდე სამუშაო საკმარისზე მეტია. იმედია მალე საშუალება მოგვეცემა ფეხბურთის მოყვარულებს „ლელოს“ ფურცლებზე ვესაუბროთ უფრო დაწვრილებით, უფრო კონკრეტულად.

●

[illegible]თის ამბები

უეფა-ს დადგენილებით ევროპის თასების მფლობელთა თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩი 7 მარტს „ჰაკა“-სა (ფინეთი) და ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელთა შორის დაინიშნა სტრასბურგში (საფრანგეთი). ფინელები ამ მატჩის მასპინძლები იყვნენ, მაგრამ [illegible] ამ დროს მათს ქვეყანაში [illegible]ობის გამო თამაში შეუძლებელია. თავად მოითხოვეს თამაშის გადატანა სამხრეთის რომელიმე ქვეყანაში.

ევროპის ჩემპიონატისთვის უკეთ მომზადების მიზნით გფრ-ის ეროვნულ ნაკრებს დაგეგმილი აქვს გამართოს 5 ამხანაგური შეხვედრა: 15 თებერვალს ვარნაში ბულგარელთა წინააღმდეგ, 29 თებერვალს ბრიუსელში — ბელგიელებთან, 28 მარტს დიუსელდორფში — სსრ კავშირის ნაკრებთან, 18 აპრილს სტრასბურგში — ფრანგებთან; 22 მაისს კი ფიფა-ს 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები ციურიხში ითამაშებენ იტალიელებთან.

ევროპის 1984 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე პორტუგალიის ეროვნული ნაკრები გამართავს 5 მატჩს. შეხვდება ლუქსემბურგის, სსრ კავშირის, უელსის, ავსტრიისა და დანიის გუნდებს.

ჭადრაკი

საჭადრაკო წლის ლაურეატები

1983 წელს მოპოვებული საუკეთესო სპორტულ-შემოქმედებითი მიღწევებისთვის, ჭადრაკის დარგში სამეცნიერო, ლიტერატურული და სამწვრთნელო მოღვაწეობისთვის სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ყოველწლიური პრიზები მიეკუთვნათ:

სსრ კავშირის ჩემპიონებს ნონა გაფრინდაშვილსა და ანატოლი კარპოვს — საუკეთესო სპორტული მიღწევებისთვის;

გარი კასპაროვსა და ვასილ სმისლოვს — საუკეთესო პარტიისთვის. პირველს ლ. პორტიშთან ნიკშიჩის საერთაშორისო ტურნირზე ნათამაშევი პარტიისთვის., მეორეს — ზ. რიბლისთან მატჩის მეშვიდე პარტიისთვის.

მაია ჩიბურდანიძეს — მოჭადრაკე ქალის საუკეთესო პარტიისათვის. ეს ჯილდო დაიმსახურა მსოფლიო ჩემპიონის მიერ ინგლისელ ოსტატ მ. ჩანდლერთან დორტმუნდის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე ნათამაშევმა პარტიამ.

დავით ბრონშტეინსა და ოსტატ ანატოლი მაცუკევიჩს — საუკეთესო წიგნისთვის. პირველს ნაშრომისთვის „დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი“, მეორეს წიგნისთვის — „ჭეშმარიტებასთან მიახლოვება“.

სამამულო საჭადრაკო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის მ. ჩიგორინის სახელობის სამახსოვრო მედლით დაჯილდოვდნენ მწვრთნელები: იური ავერბახი, ვიქტორ კუპრეიჩიკი, ალექსანდრე ნიკიტინი, იგორ ზაიცევი, გენადი კუზმინი, პავლე კონდრატიევი, ალექსი სუეტინი და ანატოლი ბიხოვსკი, რომელთა შრომამ საბჭოთა მოჭადრაკეებსა და ნაკრებ გუნდებს ხელი შეუწყო წარმატებების მოპოვებაში.

●

სადავო სიახლე

● ფიდე-მ შეცვალა მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემა და ციკლი ● საბჭოთა დელეგაციის მოსაზრებანი ● ახალი დისკუსია გარდუვალია ● პრეტენდენტთა გულისწყრომა.

შარშან, ოქტომბერში, მანილაში (ფილიპინები) ფიდე-ს 54-ე კონგრესზე მძაფრი დისკუსია გაჩაღდა ვაჟთა მსოფლიო პირველობის გათამაშებაში მომხდარ ზოგ მნიშვნელოვან ცვლილებასთან დაკავშირებით.

ფიდე-ს „ოთხთა კომიტეტმა“, რომელშიც შედიან ცნობილი საჭადრაკო მოღვაწენი ჰ. კინცელი (გფრ), რ. კინი (ინგლისი), ბ. კაჟიჩი (იუგოსლავია) და თვით ფიდე-ს პრეზიდენტი ფ. კამპომანესი (ფილიპინები), მოითხოვა ნაწილობრივ შეიცვალოს მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის მებრძოლთა შეჯიბრების სისტემა და მისი გამართვის დრო. კონგრესმენებმა უტკივნეულოდ მიიღეს პირველი წინადადება, მეორეს გარშემო ამტყდარი დიდი დავა კი ჯერაც არ დამცხრალა.

როგორია ეს წინადადებები? პირველი პრეტენდენტთა შეჯიბრების მეოთხედფინალური მატჩების გაუქმებას მოითხოვს. როგორც ცნობილია, მსოფლიო პირველობის გათამაშების ამჟამად მოქმედი სისტემის მიხედვით სამი საზონათშორისო ტურნირი ტარდება. თითოეულიდან სამი გამარჯვებული და წინა ციკლის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილენი, ესე იგი 8 დიდოსტატი განაგრძობს ბრძოლას მეოთხედფინალურ, ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებში მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად. ახალი წინადადებით შეიცვალა მხოლოდ პრეტენდენტთა დასკვნითი შეჯიბრება. ამჯერად გაიმართება პრეტენდენტთა 16-კაციანი ტურნირი, რომელშიც მიიწვევენ ოთხოთხ მოჭადრაკეს საზონათშორისო ტურნირებიდან და ოთხ დიდოსტატს პრეტენდენტთა წინა ციკლის მატჩებიდან. ამ შეჯიბრებაში I-IV ადგილების მფლობელნი ბრძოლას განაგრძობენ ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებში. სიახლის მომხრენი ფიქრობენ, რომ ახალი სისტემა გაამძაფრებს ბრძოლას პრეტენდენტობისთვის.

კონგრესმა იმსჯელა ამ სისტემის ავ-კარგზე და მიიღო იგი.

მეორე წინადადება მოითხოვს მსოფლიო პირველობის გათამაშების სამწლიანი ციკლის შეცვლას. „ოთხთა კომიტეტის“ აზრით, ორწლიანი ციკლი უფრო აამაღლებს ჭადრაკის პრესტიჟს.

სამწლიანი ციკლი შემოიღეს 1948 წელს და მან სავსებით გაამართლა. მართალია, დროდადრო ნაწილობრივ იცვლებოდა გათამაშების სისტემა. ასე მაგალითად, შემოიღეს საზონათშორისო ტურნირები და პრეტენდენტთა მატჩები. საჭადრაკო ცხოვრებაც ამ ფორმულის მიხედვით აეწყო და მსოფლიოში ჭადრაკის განვითარება-წინსვლაც თვალსაჩინო გახდა. „ოთხთა კომიტეტის“ მიერ შემოთავაზებული სიახლის წინააღმდეგ სსრ კავშირის დელეგაციის სახელით გამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონები მ. ჩიბურდანიძე, ა. კარპოვი და საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ჭადრაკის სამმართველოს უფროსი, დიდოსტატი ნ. კროგიუსი.

ორწლიანი ციკლის დროს, აღნიშნეს საბჭოთა წარმომადგენლებმა, საგრძნობლად გაიზრდება ფინანსური ხარჯები, რასაც დიდოსტატთა მომზადება და ზონალური ტურნირების ჩატარება მოითხოვს. ბევრი ეროვნული ფედერაციის ბიუჯეტი ვერ გაწვდება მას. პირველობის გათამაშებაში დაკავებული დიდოსტატები ველარ შეძლებენ საერთაშორისო ტურნირებში, გუნდურ პირველობებში გამოსვლას. მსოფლიო ჩემპიონი და პრეტენდენტი პრაქტიკულად ველარ დაიცავენ თავიანთი ქვეყნის ინტერესებს საჭადრაკო ოლიმპიადებში, რადგან მოჭადრაკეთა ამ დიდი ფორუმის და მსოფლიო პირველობაზე მატჩის გამართვის დრო ერთმანეთს დაემთხვევა. მოწინავე დიდოსტატებს აღარ ექნებათ ლექციების, ერთდროული თამაშის სეანსების გამართვის შესაძლებლობა, ველარ გაემგზავრებიან განვითარებად ქვეყნებში ჭადრაკის პროპაგანდის მიზნით. შესარჩევ ტურნირებში ხშირი მონაწილეობა მათ ხელს შეუშლით თეორიაზე მუშაობაში, ოსტატობის სრულყოფაში. ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ ორწლიანი ციკლი არარეალური, პრაქტიკულად ძნელი განსახორციელებელია.

სსრ კავშირის დელეგაციამ მოითხოვა ერთი წლით მაინც გადაიდოს ორწლიანი ციკლის შემოღება, რათა ეროვნულმა ფედერაციებმა გულდასმით განიხილონ იგი. მით უმეტეს, რომ თვით ციკლი 1985 წელს იწყება. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ფიდე-ს ცენტრალურმა კომიტეტმა, მაგრამ გენერალურმა ასამბლეამ ხმების უმრავლესობით დაამტკიცა ორწლიანი ციკლი. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ასამბლეის წევრთა უმეტესობას არა ჰყავს მსოფლიო პირველობაში მონაწილე მოჭადრაკეები და ამიტომ არავითარი პასუხისმგებლობა არ აწუხებთ.

როგორც ჩანს, ფიდე ამ საკითხს დაუბრუნდება 55-ე კონგრესზე, რომელიც წლეულს, ნოემბერში, ქალაქ სალონიკში (საბერძნეთი) ქალთა XI და ვაჟთა XXVII საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში უნდა ჩატარდეს. საქმე ისაა, რომ მანილაში ფიდე-მ მიიღო ვენესუელის წარმომადგენლის შესწორება იმის თაობაზე, რომ მატჩ-რევანში მსოფლიო პირველობაზე (ჩემპიონის დამარცხების შემთხვევაში) მომდევნო წლის სექტემბერში უნდა გაიმართოს. ორწლიანი ციკლის მიხედვით კი გამოდის, რომ მსოფლიო ჩემპიონმა ზედიზედ, ყოველ წელს უნდა ითამაშოს მატჩი. ეს უაზრობაა. ამიტომ იყო 54-ე კონგრესზევე რომ შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც „ოთხთა კომიტეტთან“ ერთად დაევალა მსოფლიო პირველობის გათამაშების ახალი სისტემის ხელახლა შემუშავება.

ორწლიანი ციკლის შემოღებას გულისწყრომით შეხვდნენ გამოჩენილი დიდოსტატები. ისინი ალბათ თავიანთ სიტყვას იტყვიან 55-ე კონგრესზე. დღეს კი გთავაზობთ ამჟამინდელი მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილეების ვ. სმისლოვისა და გ. კასპაროვის აზრს ორწლიანი ციკლის შესახებ.

ვ. სმისლოვი ამბობს: „ბრძოლას სწრაფმდინარე ხასიათი ექნება. ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს პრაქტიკა ყველას დაარწმუნებს აქამდე არსებული სამწლიანი ციკლის მიზანშეწონილობაში. მე, საერთოდ, ჭადრაკში რეფორმების წინააღმდეგი ვარ“.

გ. კასპაროვმა განაცხადა: „მე მინდა უფრო კატეგორიულად გამოვთქვა ჩემი აზრი. ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი საკმაოდ დიდი ფიგურაა სპორტული ცის კაბადონზე. უაზრობაა ჩააყენო იგი ისეთ მდგომარეობაში, რომ გაცვეთამდე იშრომოს. ჩემი აზრით, ორწლიანი ციკლი გულისხმობს მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის მებრძოლ მოჭადრაკეთა თაობის მთლიან შეცვლას უახლოესი 6-8 წლის მანძილზე. ეს ხელს აძლევს მხოლოდ იმათ, ვინც დასავლეთში საჭადრაკო შოუს მართავს. განა ღირს კარუსელად გადავაქციოთ მსოფლიო ჩემპიონატები? რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი მოჭადრაკეები ამაზე არასოდეს დათანხმდებიან. რატომ არავის მოსდის თავში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ოთხწლიანი ციკლის შეცვლა?..“

დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ ეს სიახლენი ჯერ არ შეხებია ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშებას. თუმცა მოსალოდნელია ისიც შეიცვალოს.

თენგიზ გიორგაძე.

●

აქტივის მხარდაჭერით

სამტრედიაში დამთავრდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. ტურნირში 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა: ხუთგზის სსრ კავშირის ჩემპიონი, დიდოსტატი ვ. ბორისენკო (ტაშკენტი), სსრ კავშირის 43-ე ჩემპიონატის მონაწილე, ოსტატი ო. პედკო (სოჭი) და 12 ოსტატობის კანდიდატი. მათ შორის სამნი საქართველოდან — ნ. გაბადაძე (ქუთაისი), ს. ტერელაძე და ნ. ლეჟავა (ორივე — სამტრედია).

შეჯიბრება ჩინებულად იყო ორგანიზებული. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სამტრედიაში უყვართ ჭადრაკი. რაიონის ხელმძღვანელობა, საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი თ. იმედაძე დიდ ყურადღებას აქცევენ რაიონში ჭადრაკის პოპულარიზაციის საქმეს. მუყაითად მუშაობენ რაიონის საჭადრაკო კლუბი, ბავშვთა საჭადრაკო სკოლა, რომელთაც აქტივი უდგას მხარში. ამიტომაა ბოლო დროს ხშირად რომ მასპინძლობს სამტრედია საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებს.

10 ქულით I ადგილი და „სპარტაკის“ ჩემპიონის ტიტული პედკომ მოიპოვა. II ადგილზეა კიეველი ი. ბერეზინა — 9, III — ნალჩიკელი ლ. ბორისოვა — 9 (უარესი კოეფიციენტის გამო).

ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეები ცხრილის მეორე ნახევარში აღმოჩნდნენ, სამაგიეროდ მათ ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრებში. განსაკუთრებული ქების ღირსია 11 წლის სოფიკო ტერელაძე, რომელმაც იმდენივე ქულა (5) მოაგროვა, რამდენიც დიდოსტატმა ბორისენკომ. აშკარად იგრძნობა ნორჩი მოჭადრაკის შემოქმედებითი წინსვლა.

თამარ ხუგაშვილი,
საერთაშორისო ოსტატი.

ზამთრის
მეთოთხმეტე
ოლიმპიური
თამაშების
გახსნამდე
დარჩა 4 დღე

გზა დაგელოცოთ, ოლიმპიელებო!

დასასრული

ორგანიზაციას, აქ ქებით უნდა მოვიხსენიოთ პირველ ყოვლისა ჩვენი ნაკრების კომორგი გია იოსელიანი. კულტურული პროგრამა მდიდარი იყო საინტერესო შეხვედრებით, საუბრებით, კონცერტებით, ხშირად გვიჩვენებდნენ ახალ კინოფილმებს.

● თქვენს ბაზაზე, სსრ კავშირის ნაკრების უზარმაზარი ოფიციალური ნიშანი, სარაევოს ოლიმპიადის ემბლემა და მხიარული ვუჩკოს გამოსახულება რომ ამშვენებს, ვნახეთ სტენდი, ზედ მიკრული დეპეშებით...

— დეპეშები ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის, უფრო მეტი თქვენი რესპუბლიკიდან — თბილისიდან, ფოთიდან, აბაშიდან, თელავიდან, გეგეჭკორიდან, ლანჩხუთიდან, წულუკიძიდან, სამტრედიიდან, ხაშურიდან, გორიდან. ოლიმპიურ სარაევოში წარმატებას გვისურვებენ მშრომელები, მოსწავლეები, კოლმეურნეები, კომკავშირელები.

● პირველი სტარტი როდის გექნებათ?

— როგორც ცნობილია, ზამთრის თამაშები საზეიმოდ გაიხსნება 8 თებერვალს. მეორე დღეს ბრძოლაში სათხილამურო რბოლის ოსტატები — 10 კილომეტრზე მოასპარეზე ქალები ჩაებმებიან, 10 თებერვალს კი 30-კილომეტრიან დისტანციაზე სტარტს ვაჟები აიღებენ. ასე რომ, პირველნი XIV ოლიმპიადაზე ჩვენ ჩავდივართ.

● როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე სარაევომ?

— ჩვენ იქ შარშან ვიყავით ეგრეთ წოდებულ წინასაოლიმპიადო კვირეულზე, სწორედ „ოლიმპიურ" რიცხვებში — 10-17 თებერვალს. მართალია, მაშინ თოვლი ნაკლები იყო და ცა ჰექა-ქუხილს უფრო იმეტებდა (წარმოიდგინეთ როგორ გაჭირდებოდა ასეთ ამინდში 30 კილომეტრზე რბოლა), მაგრამ, სინოპტიკოსების რწმენით, წლევანდელი ზამთარი, თუ შეიძლება ითქვას, გაცილებით სპორტული იქნება. სარაევო, ისევე როგორც ბაკურიანი, შუამთიანეთია, თუმცა უფრო დაბალი — 1300-1400 მეტრი ზღვის დონიდან (ბაკურიანი 1700 მეტრზეა). სარაევოში მზე სამი საათით გვიან ამოდის, ვიდრე ბაკურიანსა და თბილისში. ასე რომ, ალბათ, ყველაზე გვიან დამთავრებულ შეჯიბრებასაც მაშინვე ნახავთ ტელევიზიით.

● ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიადაზე საბჭოთა ნაკრებმა ყველაზე მეტი — ათი ოქროს მედალი მოიპოვა. XIII თამაშების ნამდვილი გმირი იყო ნიკოლოზ ზიმიატოვი, რომელმაც სამი „ოქრო" წამოიღო სამშობლოში — 30, 50 კილომეტრზე რბოლასა და 4X10 კილომეტრზე ამანათრბენაში. მეოთხე ოქროს მედალი რაისა სმეტანინას ერგო 10 კილომეტრზე გამარჯვებისათვის. თუ საიდუმლო არაა, როგორია ჩვენი გუნდის ახლანდელი გეგმები?

— რბოლაში კვლავ ოთხ ოქროს მედალს ვუმიზნებთ. მას ორ ან სამ „ვერცხლსა" და ამდენივე „ბრინჯაოს" დავუმატებთ ალბათ. განსაკუთრებით ჩვენი გუნდის უბერებელი ლიდერების — იგივე ზიმიატოვისა და სმეტანინას იმედი გვაქვს. ცხადია, წარმატების შანსი აქვთ გამოცდილ ზავიალოვს, ახალგაზრდა სტეპანოვას და პრაქტიკულად ჩვენი ნაკრების ყველა წევრს.

● გაგვაცანით ქვეყნის ოლიმპიური ნაკრებთა სრული შემადგენლობანი.

— ქალთა გუნდში სიკტივკარელ რაისა სმეტანინას გარდა შევიყვანეთ იჟევსკელი იულია სტეპანოვა, ლიუბოვ ლიადოვა (მოსკოვის ოლქი), თამარ მარკაშანსკაია (მინსკი), ნადეჟდა ბურლაკოვა (მოსკოვი), ლიუბოვ ზიმიატოვა (მოსკოვის ოლქი) და ლილია ვასილჩენკო (ნოვოსიბირსკი). ვაჟთა ნაკრებში ნიკოლოზ ზიმიატოვთან (მოსკოვის ოლქი) ერთად გამოვლენ ალექსანდრე ზავიალოვი (მოსკოვის ოლქი), ვლადიმერ ნიკიტინი (იჟევსკი), ვლადიმერ სახნოვი (ალმა-ათა), მიხეილ დევიატიაროვი (პერმი), ალექსანდრე ბატიუკი (კიევი) და კურგანელი ვლადიმერ მაზალოვი (სათადარიგო). რბოლის თითოეულ სახეობაში ერთი ქვეყნიდან 4-მდე მოთხილამურის გამოყვანა შეიძლება. თუ ვინ რომელ დისტანციაზე იასპარეზებს, ამას სარაევოში გადავწყვეტთ.

● რომელი უცხოელი მრბოლელები ითვლებიან დღეს ჩვენს მთავარ მეტოქეებად?

— უწინარეს ყოვლისა, სკანდინავიის ქვეყნების სპორტსმენები, ხოლო ქალებში მათ გარდა კიდევ გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები. ცალკეულ მოთხილამურეთაგან ვაჟებში დავასახელებ მსოფლიოს ჩემპიონს ტომას ვასბერგს (შვეცია) და ფინელ იუჰა მიეტოს — მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს. ქალთა შორის საბჭოთა სპორტსმენების მთავარი მეტოქეები არიან მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბერიტ აუნლი (ნორვეგია), სარაევოს წინასაოლიმპიადო კვირეულში ორგზის გამარჯვებული (5 და 10 კილომეტრზე), ჩეხოსლოვაკიელი ბლანკა პაულუ, მისი თანაგუნდელი, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი 10 კილომეტრზე რბოლაში კვეტა იეროვა და ახალგაზრდა ნორვეგიელი ბრიტ პეტერსენი — მსოფლიოს ჩემპიონატის ასევე ბრინჯაოს მედლის მფლობელი 5-კილომეტრიან დისტანციაზე. ისინი ამ სეზონში (დეკემბერში) ვიხილეთ მსოფლიოს თასის გათამაშების პირველ ეტაპზე რაიდ ინ ვინკლში (გფრ) და, უნდა ითქვას, ჩვენმა ძირითადმა მეტოქეებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველი ოლიმპიადიდან (1956 წელი, VII თამაშები, კორტინა დ' ამპეცო) ოქროს მედლებით დაგვიბრუნდნენ ჩვენი სახელოვანი მრბოლელები: ლიუბოვ კოზირევა-ბარანოვა, რადია ეროშინა, მარია გუსაკოვა, ალევტინა კოლჩინა, პაველ კოლჩინი, ფიოდორ ტერენტიევი, ვლადიმერ კუზინი და თქვენ — ნიკოლოზ ანიკინი.

● გულშემატკივართა სურვილია სარაევოს თოვლიან ტრასებზე ასეთივე წარმატებები მოიპოვონ ჩვენმა დღევანდელმა ოლიმპიელებმა.

— ვფიქრობ, რომ ასეც იქნება. საბჭოთა სპორტსმენების 125-კაციანი დელეგაციის თითოეული წევრი ღირსეულად დაიცავს საბჭოთა სპორტის სახელს. ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში ჩვენმა სპორტსმენებმა ყველაზე მეტი „ოქრო" (11 მედალი) ინსბრუკის 1964 წლის IX თამაშებიდან ჩამოიტანეს. სარაევოს თეთრი ოლიმპიადიდან იქნებ უფრო დიდი ნადავლით — 12-13 ოქროს მედლით ჩამოვიდეთ.

საუბარი ჩაიწერა
ოთარ ნოზაძემ.

ბაკურიანი.

ინფორმაცი

მსოფლ
რეკორდე

რომი. (საკდესი). მილანის
რული სტადიონის „პალასპორ
სარბიელზე მიმდინარე იტა
ესპანეთისა და სსრ კავშირის მ
ოსანთა ნაკრები გუნდების სამ
შეხვედრაში საბჭოთა და იტა
ლმა სპორტსმენებმა ოთხი უმაღ
მიღწევა დაამყარეს. 20 წლის
ნზელმა იგორ პაკლინმა 236 სმ
მაღლე გადალახა, მან სანტი
რით გააუმჯობესა 1978 წლის
ტში ამავე სარბიელზე ვლად
იაშჩენკოს მიერ დამყარებ
რეკორდი. მსოფლიო ჩემპიონმა
კით ხტომაში, დონეცკელმა ს
ბუბკამ 582 სმ სიმაღლე და
რაც სანტიმეტრით სჯობს
კვირის წინ ვილნიუსში მის მი
დამყარებულ რეკორდს (დარ
ბისთვის). ეს შედეგი მხოლოდ
ნტიმეტრით ჩამორჩება ტ. ვინ
ნის (საფრანგეთი) მიერ სტადი
დამყარებულ მსოფლიო რეკორ
იტალიელმა ჯულიანა სა
3 კმ სპორტულ სიარულში 13.0
აჩვენა. ადრინდელი მსოფლიო
ღწევა გააუმჯობესა, აგრეთვე
ადგილზე გასულმა საბჭოთა ს
ტსმენმა ვერა სერზინენკომ
13.09,39.
იტალიელ მორბენალთა კვარტ
მა (პავონი, ბონჯორნი, ტილი
სიმიონატო) 4X200 მ ესტაფ
1.24,15-ში დაფარა. ადრინდელ
ფლიო რეკორდს გადააჭარბეს
ადგილზე გასულმა საბჭოთა მ
ბენლებმა — 1.24,15.
საბჭოთა სპორტსმენები პირვ
ები იყვნენ: ქალები. 60 მ თარ
ბენი — მ. მერჩუკი (8,26). 800
რბენა — ი. პოდიალოვსკაია (2.04
4X200 მ ესტაფეტა — 1.35,78,
მაღლეზე ხტომა — თ. ბიკ
(198 სმ), სიგრძეზე ხტომა —
პროსკურიაკოვა (649 სმ). ბირთ
კვრა — ნ. აბაშიძე (20,70 მ სა
შირო რეკორდის გამეორება და
ზებისთვის). ვაჟები. სამხტომი
გ. ემელი (17,10 მ), შ. აბია
— 16,40.

• • •

ლვოვი. აქ გამართულ საკავ
რო შეჯიბრებაზე ირკუტსკე
სპორტსმენმა გალინა კორზ
სტანდარტული პისტოლეტით ს
ლაში 594 ქულა მოაგროვა. ეს
დეგი 2 ქულით აღემატება მის
მსოფლიო რეკორდს.

საკდე

„სპორტლოტ

სპორტული ლატარიების მთ
რმა სამმართველომ შეაჯამა შე
გები „სპორტლოტოს" მორიგი,
ოთხე ტირაჟებისა, რომლებიც
იანვარს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 49"-დან: ექ
ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხ
ციფრის გამოცნობისთვის (10
რათი) მოგება 5616 მანეთია,
ხისთვის (818 ბარათი) — 72,
სთვის (20 330 ბარათი) — 4.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ხ
ციფრის გამოცნობისთვის (15
რათი) — მოგება 10000 მანე
ოთხისთვის (2330 ბარათი) — 1
სამისთვის (90056 ბარათი) — 8
მოგებული თანხის განაწილება
8 თებერვლიდან 8 მარტის ჩა
ლით.

ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ

სარაევოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად, სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების მწვრთნელებმა ვ. ტიხონოვმა და ვ. იურზინოვმა არჩევანი შეაჩერეს შემდეგ სპორტსმენებზე: მეკარეები — ტრეტიაკი და მიშკინი, მცველები— ფეტისოვი, კასატონოვი, პერვუხინი, ბილიალეტდინოვი, სტაროკოვი, სტელნოვი. თავდამსხმელები — მაკაროვი, ლარიონოვი, კრუტოვი, გერასიმოვი, შეპელევი, ხამუტოვი, დროზდეცკი, ტიუმენოვი, კოჟევნიკოვი, სკვორცოვი, კოვინი, ვასილიევი.

ჰოკეისტთა გუნდი სარაევოში 4 თებერვალს გაემგზავრება.

ფიგურული ციგურაობის წარმომადგენლობა კი ასეთია: წყვილებში — ე. ვალოვა და ო. ვასილიევი, ლ. სელეზნიოვა და ო. მაკაროვი (ყველა — ლენინგრადი), მ. ავსტრიისკაია და ი. კვაშნინი (მოსკოვი). სპორტულ ცეკვებში — ნ. ბესტემიანოვა და ა. ბუკინი, მ. კლიმოვა და ს. პონომარენკო, ო. ვოლოჟინსკაია და ა. სვინინი (ყველა —მოსკოვი).

ერთეულებში გამოვლენ მოსკოველები ა: ფადეევი, ვ. კოტინი, ე. ვოდორეზოვა, ა. კონდრაშოვა და კ. ივანოვა (მოსკოვის ოლქი).

●

კანადელი სამთომოთხილამურე ტოდ ბრუკერი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სარაევოს ოლიმპიადის სტარტების დღეებში თხილამურებზე დადგეს.

ორი კვირის წინ, კიტცბიუელში (ავსტრია) მსოფლიო თასის გათამაშებაში ასპარეზობისას ბრუკერი მძიმედ დაშავდა. მას შემდეგ ორივე ფეხის მუხლის სახსარში 6 ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ 24 წლის სპორტსმენს ეს არ აშინებს.

კანადელები იმედოვნებენ, რომ წლევანდელი ზამთრის ოლიმპიადა ბედნიერი იქნება „ნეკერჩხლის ფოთლის" ქვეყნის ოლიმპიელებისთვის. 70 სპორტსმენიდან წარმატების შანსი აქვთ სამთომოთხილამურე სტივ პოდბორსკის და ტრამპლინიდან მხტომელ ჰორსტ ბულაუს. კარგ ფორმაშია სამთომოთხილამურე ქალთა გუნდიც. ამაზე მეტყველებს ჯერი სორენსენისა და ლაურა გრეხემის ბრწყინვალე გამოსვლები საფრანგეთში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში.

●

გფრ-ის ცნობილი სპორტსმენი მონიკა ჰოლცნერი (ადრე პფლუგის გვარით გამოდიოდა) საციგურაო სპორტის ისტორიაში პირველი ქალია, რომელიც მეოთხედ მიიღებს მონაწილეობას ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. სარაევოში იგი 500 და 1.000-მეტრიან დისტანციებზე იასპარეზებს.

მონიკამ 1972 წელს, საპოროში, თავის პირველ ოლიმპიადაზე, 1.000-მეტრიან დისტანციაზე ოქროს მედალი მოიპოვა.

●

ვიბრძოლებთ „ოქროსთვის", — განაცხადა შვეციის ჰოკეისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ანდერს პარმსტრემმა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორ მსოფლიო ჩემპიონატში შვედ ჰოკეისტებს IV ადგილზე უკეთესი შედეგი არ ჰქონიათ, პარმსტრემი თვლის, რომ თამაშის კლასით მისი გუნდი ბევრად არ ჩამოუვარდება სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებებს.

ფავორიტის
სავიზიტო ბარათი
ბობსლეი
ეკეჰარდ ფასერი
შვეიცარია

დაიბადა 1952 წლის 3 სექტემბერს გლარუსში
სიმაღლე: 184 სმ; წონა: 88 კგ.
კლუბი: „ციურიხერ ბობ-კლუბი"
მწვრთნელი: ვერნერ კამიხელი
პროფესია: ინჟინერი
უმნიშვნელოვანესი სპორტული მიღწევები: 1983 წლის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ოთხადგილიანი ბობებით რბოლაში; 1984 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ამავე დისციპლინაში; 1978 წლის იუნიორთა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი.

ეკეჰარდ ფასერი ბობსლეიში, სპორტის ამ სახეობის ბევრი სხვა წარმომადგენლის მსგავსად, მძლეოსნობიდან მოვიდა. უწინ იგი ათჭიდელი იყო, და არცთუ ურიგო: 1,95 მეტრ სიმაღლეზე ხტებოდა, სიგრძეზე ხტომაში მისი საუკეთესო შედეგი 7 მეტრს უახლოვდებოდა, ხოლო ბირთვს 13-მეტრიან ზღვარს იქით ჰკრავდა. მაგრამ ყოველივე ეს, როგორც თავად ფასერი ამბობს, არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ მისგან ექსტრა-კლასის ათჭიდელი დამდგარიყო. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ცნობილი შვეიცარიელი ბობსლეისტის, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონის ერიჰ შერერის ეკიპაჟის წევრმა რიუგმა თავის თანაკლუბელ რალფ პიჰლერს ურჩია, ყურადღება მიაქციე ამ ახოვან ახალგაზრდასო. ეს მოხდა 1978 წელს, ევროპის იუნიორთა ჩემპიონატის წინ. პიჰლერს იმდენად მოეწონა ფასერის ფიზიკური მონაცემები, რომ პირდაპირ თავის ეკიპაჟში ჩარიცხა სრულუფლებიან წევრად და ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანა. ასე დაიწყო 25 წლის ათჭიდელის კარიერა სპორტის ახალ სახეობაში — ბობსლეიში.

1983 წელი ეკეჰარდ ფასერის ჭეშმარიტი ტრიუმფის წელი იყო. ამ დროისთვის იგი უკვე თავად გახლდათ მესაჭე, ბობსლეისტთა ოთხკაციანი ეკიპაჟის ლიდერი. მაგრამ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე გასამგზავრებლად მის კვარტეტს შესარჩევი შეჯიბრების ურთულესი ზღუდე უნდა გადაელახა. მეტოქეები კი ფასერსა და მის მეგობრებს უაღრესად ძლიერი ჰყავდათ: შერერის, ჰილტებრანდის, ჯაბელინას და სხვათა ეკიპაჟები. მაგრამ ფასერის კვარტეტმა შესარჩევ ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა და სეზონის უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა. სარაევოში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ფასერის ეკიპაჟის გამარჯვება ნამდვილი სენსაცია იყო, მაგრამ ზოგიერთმა სპეციალისტმა პირველობის შედეგები შემთხვევითობით ახსნა. გავიდა სულ ცოტა ხანი და ევროპის ჩემპიონები ახლა უკვე მსოფლიო ჩემპიონებიც გახდნენ — ლეიკ-პლესიდშიც ყველას აჯობეს.

რამდენიმე დღის წინ იგლსის ცნობილ ტრასაზე დამთავრდა ევროპის 1984 წლის ჩემპიონატი, სადაც ფასერის თანამემამულის, სილვიო ჯაბელინას კვარტეტმა გაიმარჯვა. შარშანდელი ჩემპიონები ამჯერად ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

საინტერესოა, რომ ფასერის ეკიპაჟის დანარჩენი სამი წევრიც (ჰანს მერჰი, კურტ პოლეტი და როლფ შტრიტმატერი) ყოფილი მძლეოსანია. მაგალითად, როლფ შტრიტმატერმა 1978 წელს პრაღაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავა 4X400 მეტრზე ესტაფეტაში, 1980 წელს კი მოსკოვის ოლიმპიადაშიც მონაწილეობდა.

რედაქტორი ა. გოგელ

გაზეთ „ლელოს" რედაქცია
წყება, რომ გარდაიცვალა ფი
კური კულტურის ინსტიტუტის
ტომიის კათედრის გამგე, მედი
ნის მეცნიერებათა დოქტორი, პრ
ფესორი

გიორგი მიხეილის ძე თვალა

და სამძიმარს უცხადებს განსვე
ბულის ოჯახს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლე
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81
93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 58; ჰადრაკის — 93-97-26; წ
ლების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
ИНДЕКС 66435 გაზეთი კორპუსში, სოშარაულის. 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უე 070